

დამწყები გოლფის მოთამაშეები ABC – თქვენი სწრაფი გზამკვლევი თბილისის ჰილს გოლფში

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება Tbilisi Hills Golf-ში! მიუხედავად იმისა, პირველი მცდელობა გაქვთ გოლფის ჯოხის მოქნევის თუ უკვე შეგიყვარდათ გოლფის თამაში, ეს გზამკვლევი დაგეხმარებათ ისიამოვნოთ თამაშის დროს, პატივი სცეთ გოლფის ტრადიციებს და სულისკვეთებას.

1. ცნობიერება და დამოკიდებულება

- პატივი ეცით მოედანს და სხვებს – გოლფის თამაშის დროს მანერები ისეთივე მნიშვნელოვანია როგორც სწორი დარტყმა. ყურადღებით იყავით სხვა მოთამაშეებისა და პერსონალის მიმართ, მოედანს მოეხიარით როგორც თქვენს საკუთარ ბაღს.
- დაქირავებული აღჭურვილობა – მოუფრთხილდით დაქირავებულ აღჭურვილობას და გარეცხეთ ჯოხები ვიდრე უკან დააბრუნებთ.
- იყავით უსაფრთხოდ – ყოველთვის გადაამოწმეთ დარტყმის შესრულებამდე. ხმამაღლა დაიყვირეთ “Fore!” თუ თქვენი ბურთი სხვა მოედანზე ან სხვა სხვა ჯგუფის მიმართულებით მიემართება. თუ გაიგონებთ “Fore!”, ჩაიმუხლეთ, თავი ხელებით დაიფარეთ და მოეფარეთ აღჭურვილობის უკან. სავარჯიშო მოედანზე გადაადგილებისას, ყოველთვის დარჩით ყვითელი უსაფრთხოების ზოლის უკან.
- გთხოვთ, შეინარჩუნეთ სიჩუმე – იყავით ჩუმად, თუ სხვები ემზადებიან დარტყმისთვის ან უკვე თამაშობენ.
- გოლფის ბურთები – სავარჯიშო მოედანზე ბურთები მხოლოდ ვარჯიშისთვისაა. გთხოვთ, მოედანზე გამოიყენეთ მხოლოდ შესაბამისი, სათამაშო ბურთები.
- ჯგუფის ზომა – ჯგუფში დაშვებულია მაქსიმუმ 4 მოთამაშე. გოლფის მანქანაში შეიძლება განთავსდეს 2 მოთამაშე და 2 სათამაშო აღჭურვილობა.

2. საბაზისო ინფორმაცია, რომელიც უნდა იცოდეთ

გოლფის ეტიკეტი

- შეასწორეთ და შეავსეთ თამაშის დროს მოედნებზე დაზიანებული ბალახის საფარი, ორმოები ამოავსეთ კლუბის მიერ მოწოდებული ქვიშისა და თესლის ნარევით.
- ბუნკერიდან თამაშის შემდეგ მოასწორეთ ზედაპირი და გამოყენების შემდეგ ფოცხი დატოვეთ ბუნკერში.
- გოლფის მანქანით არ იმოძრაოთ Tee box-ზე, Green-ზე და ასევე ხეების ნაწილში.
- გრინზე არ დააბიჯოთ სხვა მოთამაშის ბურთის ხაზზე.
- ვარჯიშის შემდეგ ცარიელი კალათები დააბრუნეთ ბურთის აპარატის გვერდით.
- თუ მოკლე თამაშს ვარჯიშობთ, დასრულების შემდეგ შეაგროვეთ ბურთები და დააბრუნეთ სავარჯიშო სივრცეში.

ტანსაცმლის ეტიკეტი

- სტანდარტი არის საყელიანი პოლო მაისური, გოლფის შარვალი, შორტი ან ქვედაბოლო.

- არ დაიშვება მოედანზე ჯინსები და უსაყელო მაისური.

ძირითადი წესები

- თამაშის დრო – მოედანზე უნდა იყოს სულ მცირე 5 წუთით ადრე ჩანიშნულ თამაშის დრომდე და მზად უნდა იყოს დროულად.
- დაკარგული ბურთი – თუ ბურთს 3 წუთში ვერ იპოვით, ის დაკარგულია. დარტყმის შემდეგ თუ ზუსტად არ იცით ბურთი სად დავარდა, იგივე ადგილიდან ერთი ჯარიმით ითამაშეთ მეორე ბურთი ან გამოიყენეთ ადგილობრივი წესი: ბურთი დააგდეთ ფერვეიზე დაკარგული ადგილიდან 2 ჯოხის სიგრძის მანძილზე 90 გრადუსიანი კუთხით (არა დროშასთან ახლოს) 2 დარტყმის ჯარიმით.
- საჯარიმო ზონები – საჯარიმო სივრცეები მონიშნულია წითელი ჯოხებით მწვანე თავებით. საჯარიმო ზონიდან თამაში არ შეიძლება, ერთი ჯარიმით ბურთი უნდა გადმოიტანოთ 2 ჯოხით მონიშვნის ადგილიდან.
- თუ ბურთი ისეთ ადგილზეა რომ თამაში შეუძლებელია:
 - დააგდეთ ბურთი 2 ჯოხის მანძილზე ერთი ჯარიმით ბურთის დავარდნის ადგილიდან; ან
 - დაბრუნდით და თავიდან შეასრულეთ დარტყმა; ან
 - შეინარჩუნეთ ბურთი და დროშა ერთ ხაზზე, უკან დაიხიეთ რაც შეიძლება შორს და ითამაშეთ ერთი დარტყმის ჯარიმით.
- ბუნკერები – ბუნკერიდან თამაშისას, დარტყმის წინ ქვიშას არ შეგიძლიათ შეეხოთ ჯოხით. ბუნკერიდან თამაშის შემდეგ ყოველთვის მოასწორეთ ფოცხით ზედაპირი.

3. კურსის თანმიმდევრობა

რეგისტრაცია

- წინასწარ დაჯავშნეთ თქვენი თამაშის დრო მიმღებთან, ტელეფონით ან ონლაინ.
- თამაშის დაწყებამდე **მინიმუმ 30 წუთით ადრე** დარეგისტრირდით, ივარჯიშეთ , და დროულად გადით მოედანზე.

თამაშის ტემპი მოედანზე

- მზად იყავით თამაშისთვის, როდესაც თქვენი დრო იქნება.
- ყურადღებით იყავით და თვალყური ადევნეთ თქვენს წინ და უკან მოთამაშე ჯგუფებს.
- დაკარგული ბურთის მოძებნას არ მოანდომოთ 3 წუთზე მეტი.
- ითამაშეთ “ready golf” როდესაც უსაფრთხოა - ვინც მზადაა ის თამაშობს.
- 9 მოედანის რაუნდი დაახლოებით 2 საათსა და 15 წუთს უნდა გაგრძელდეს (15 წუთი ერთი მოედანი).
- შედარებით სწრაფ მოთამაშეს დაუთმეთ თამაში და გაატარეთ. მოედნის ნაპირზე დადექით და ხელის დაქნევით ანიშნეთ რომ ატარებთ. დაელოდეთ და როდესაც უსაფრთხო იქნება, მერე გააგრძელეთ.

4. არ დაგავიწყდეთ

- მობილური გქონდეთ უხმო რეჟიმზე.
- პატივი ეცით მარშალის და თანამშრომლების ინსტრუქციებს.
- რაც მთავარია-გაიღიმეთ! გოლფი გართობაა (მაშინაც კი, როცა ის იმედგაცრუებას იწვევს).

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ გოლფის წესების ოფიციალურ R&A საიტს:
www.randa.org/en/rog/the-rules-of-golf